საქართველო
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

განკარგულება:**გ-69. 69242346**
თარიღი:**21/08/2024**

,,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიისათვის დამხმარე ამოცანების შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვებაზე თანხმობის მიცემის შესახებ'' ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N გ-69.6923362001 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის'' 63-ე მუხლის საფუძველზე **ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:**

მუხლი 1. შეტანილ იქნეს ცვლილება ,,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიისათვის დამხმარე ამოცანების შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვებაზე თანხმობის მიცემის შესახებ'' ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N გ-69.6923362001 განკარგულების პირველ მუხლში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,**მუხლი1.** მიეცეს თანხმობა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერს დამხმარე ამოცანების შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვებაზე და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიაში დამხმარე ამოცანების შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნება გაიზარდოს 7 ერთეულით და განისაზღვროს 53 ერთეულით.''

მუხლი 2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერის დღიდან.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქუჩა N 7)

მანანა ბარბაქაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი